გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 119

2023 წლის 14 ივლისი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობად მიღების შესახებ

მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა გორის №32 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2023 წლის 27 ივნისის №32/11 წერილი (საკრებულოში რეგისტრაცია: №:10-21231789-21; 27.06.2023 წელი), რომლითაც წარმოდგენილია განკარგულება №01/2023 „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად ნუნუ გიორგაშვილი ადგილმონაცვლეობის ცნობის შესახებ". „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობა ხდება საკრებულოს მიერ გორის №32 საოლქო საარჩევნო კომისიის წარდგინებისა და საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის დასკვნის საფუძველზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხებისა და ეთიკის კომისიის სხდომა და მიღებულია დადებითი დასკვნა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად,

1. ცნობად იქნეს მიღებული გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნუნუ გიორგაშვილის უფლებამოსილება.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე